პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 7 მარტი, 1944 წ. № 48 (6992). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები, საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვის ხარდლობით, რომელმაც შესცვალა არმიის გენერალი ვატუტინი, უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, 4 მარტს შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა 180 კილომეტრამდე ფრონტით და ორი დღის შეტევითი ბრძოლებით წინ წაიწიეს 25-დან 50 კილომეტრამდე.

შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა ოთხი ხატანკა და რვა ქვეითი დივიზია და დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო სადგური იზიასლავი, ქალაქები შუმსკი, იამპოლი და ოსტროპოლი, დაიკავეს 500-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კატრინბურგი, ვიშგოროდეკი, თეოფიპოლი, გაზალია, კუპელი, ლიახოვცი, გელოგოროდკა, ანტონინი, ველიკიე მაცევიჩი, გოროდიშჩე და ბრძოლებს ეწევიან რკინიგზის სადგურ ვოლოჩისკის მისადგომებზე.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიახოვსკის, გენერალ-პოლკოვნიკ გრეჩკოს, გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-ლეიტენანტ შურავლიოვის ჯარებმა, გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკოს, ხატანკა ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბოდანოვის ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ვარენცოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოროლკოვის არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „შუმსკის“, „იზიასლავის“, „იამპოლის“ და „ოსტროპოლის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 5 მარტს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით سالუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მაღლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 5 მარტი.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის

საკოლმეურნეო სოფელი დიდ პოლიტიკურ და საწარმოო ამოცანას განიცდის. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებამ წითელი არმიის XXVI წლისთავთან დაკავშირებით ახალი შრომითი ამოცანა გამოიწვია. კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა საგაზაფხულო სამუშაოები გააჩაღეს. სოფლის მეურნეობის მუშაკები, აღფრთოვანებულნი ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანებით და ჩვენი ხალხოვანი წითელი არმიის ახალი გამარჯვებებით, ენერგიულად მუშაობენ, რათა კიდევ უფრო გაძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

მიმდინარე წელს სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად უნდა უზრუნველყოთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღება. მეჭარხლეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმეო-მექანიკური ორგანოები, კოლმეურნეობები ფრიად პასუხსაგები სამოცანების წინაშე დგანან. 20 მარტიდან შაქრის ჭარხლის თესვა მასობრივად გაჩაღდება, და თესვისათვის მზადების ამ გადამწყვეტ პერიოდში უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები, რათა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ თესვას.

თესვისათვის ნიადაგის კარგად მომზადება სერიოზულ სამუშაოს წარმოადგენს მეჭარხლეობაში. ამიტომ მეჭარხლეობის რაიონების კოლმეურნეობებმა თესვის დაწყებამდე გულმოდგინედ უნდა გააფხვიერონ ნიადაგი, რომ ამით შეინარჩუნონ ტენიანობა. შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მძლავრი პირობაა მცენარეთა სიხშირის დაცვა. გასულ წელს იმ კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ამ საკითხს ყურადღება მიაქციეს, მაღალი მოსავალი მიიღეს. საჭიროა უზრუნველყოთ თითოეულ ჰექტარზე 100.000—110.000 ძირი ჭარხალი. ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმოადგენენ სასუქის მინდვრად დროულად გატანა, შაროვკა, გამოხშირვა და შემდგომ რიგთა შორის გაფხვიერება, დამატებითი კვება და სხვ. ამ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი მტკიცედ უნდა განვახორციელოთ.

კარგად ემზადება შაქრის ჭარხლის თესვისათვის კასპის რაიონის სოფ. მეტეხის კოლმეურნეობა. აქ საჭარხლე ნაკვეთები დროულად მოხნეს მზრალად, შეიტანეს ნიადაგში ნაკელი და სხვა სასუქი. გორის რაიონის სოფ. ქახვრელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა უკანასკნელ წლებში ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერ მოსავალს იღებს. წელს იკისრეს ჰექტარზე 400 ცენტნერის მოყვანა. ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის აქ საქმით იბრძვიან. ნიადაგი მომზადებული აქვთ თესვისათვის. მინდვრად გაიტანეს ნაკელი, კოლმეურნეები აგროვებენ ნაცარს და სხვა ადგილობრივ სასუქს საჭარხლე ნაკვეთებში გასატანად. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ მოწინავე მეჭარხლე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილება ყველას საკუთრებად გახადონ.

შაქრის ჭარხლის თესვის ორგანიზებულად ჩატარება, ნათესების თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავება დამოკიდებულია კოლმეურნეებზე, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაზე. ამიტომ საჭიროა ენერგიულად გავაჩაღოთ მუშაობა მეჭარხლეობის კადრების მოსამზადებლად, კერძოდ კი ბრიგადიერების, როგორების ხელმძღვანელების და მთესველთა დროულად მოსამზადებლად. ხაშურის რაიონმა უკვე მოამზადა 64 მეჭარხლე. ეს მუშაობა ფართოდ არის გაჩაღებული გორის რაიონშიც.

მეჭარხლეობის რაიონების მტს-ებმა ამავითვე სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ ჭარხლის სათესი და დასამუშავებელი მანქანები. ხაშურისა და გორის რაიონებში სათესების დროულად შეკეთებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგან ამ სამუშაოს აჭიანურებენ. უპირველეს ყოვლისა ეს ითქმის წითელქალაქის მტს-ზე. სათესებისა და საოშების რემონტის ხარისხის დაცვას საკმაო ყურადღება არ ექცევა აგარის მტს-ში, რაც შეუწყნარებელია. მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა მთელი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ უზრუნველჰყონ სათესი მანქანების და მისაბმელი ინვენტარის რემონტის 10 მარტისათვის დამთავრება.

საჭარხლე ნაკვეთების დამუშავებისა და თესვის საქმეში დიდი როლი აქვთ დაკისრებული მტს-ებს. ამიტომ მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, აგრონომიულმა პერსონალმა მეტი კონტროლი და დახმარება უნდა გაუწიონ სატრაქტორო ბრიგადებს ხვნის, ფარცხვის და თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი შაქრის ჭარხლის თესვისათვის მზადებაში. მეჭარხლეობის რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ვალია შაქრის ჭარხლის თესვისწინა სამუშაოები, თესვა და ნათესების დამუშავება ჩაატარონ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა საბრძოლო ამოცანები დასახა მეჭარხლეობის შემდგომი განვითარებისათვის. სოფლის პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან დარაზმონ კოლმეურნეთა მასები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, კოლმეურნე ქალებმა, და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში იკისრეს ახალი ვალდებულებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის. სასახელოდ შევასრულოთ დიდი ბელადისათვის მიცემული პირობა, მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტი კვების პროდუქტები, მათ შორის მეტი შაქარი—ეს არის მეჭარხლეობის რაიონების ღირსების საქმე.

მიმართვა ბრიტანეთის სიმპერიო გენერალური შტაბის უფროს ფელდმარშალ სერ ალან ბრუკისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინისაგან

გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ მარშალ სტალინს ჩემი ღრმა მადლობა იმ დიდი პატივისათვის, რაც საბჭოთა მთავრობამ დამდო, და ჩემი მაღალი შეფასება პრივილეგიისა — ვიყო სახელოვანი და ძლევამოსილი წითელი არმიის იმ ყველაზე გამოჩენილ ხელმძღვანელთა შორის, რომელნიც დაჯილდოებულ იქნენ სუვოროვის ორდენით.

ამ ჯილდოს ტარება გამოსჭედავს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან ამხანაგობის კიდევ ერთ რგოლს და ამიტომ ჩემთვის, ყოველთვის იქნება სიამაყის მუდმივი წყარო.

სამხედრო სესხის მოგებათა მესამე ჯირაჟი

5 მარტს მოსკოვში შესდგა 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მოგებათა მესამე ტირაჟი. გათამაშებულ იქნა 271.565.200 მანეთის 1.017 750 მოგება. 50.000 მანეთი მოგება ხვდა № 18.692 სერიის № 14 ობლიგაციას. 25.000 მანეთი მოგება ხვდათ № 15.706 სერიის № 49 ობლიგაციას და № 18.821 სერიის № 29 ობლიგაციას. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
5 მარტის ოპერაციული ცნობიდან

5 მარტის განმავლობაში ნარვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად ქალაქ ნარვის სამხრეთ-დასავლეთით და პოზიციები გაუმჯობესეს.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები 4 მარტს შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა 180-მდე კილომეტრ სიგრძის ფრონტზე და ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 25-დან 50 კილომეტრამდე. მოწეული გარღვევის შედეგად ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო სადგური იზიასლავი, ქალაქები შუმსკი, იამპოლი, ოსტროპოლი. კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრები ლიახოვცი, ანტონინი, თეოფიპოლი, ბაზალია და 500-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტები. საბჭოთა ჯარების დარტყმების გამო მოწინააღმდეგე ზედიზედ სტოვებს პოზიციებს. განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლები მოხდა ბელოგოროდოკის რაიონში. გერმანელები ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ეს დასახლებული პუნქტი და რამდენიმე გაფთრებული კონტრიერში მოიტანეს. საბჭოთა ტანკისტებმა ქვეითების, ჯავშანმტვრეველების და არტილერისტების დახმარებით, ჯანყადგურეს მოწინააღმდეგე და უკუაქციეს იგი. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 38 დაზიანებული და დაწყვიარი ტანკი და მტრის 2.000-ზე მეტი გვამი. ხელთ ვიგდეთ 12 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 34 ქვემეხი და სხვა დავლა. სხვა რაიონში 6 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს 4.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 60-ზე მეტი ტანკი და ხელთ იგდეს ჯავშანმატარებელი. წამოყვანილია დიდძალი ტყვე. მოწინააღმდეგემ ყველა უბანზე უდიდესი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ორი დღის განმავლობაში დამარცხებულ იქნა გერმანელთა 4 სატანკო და 8 ქვეითი დივიზია. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა. მოწინააღმდეგის დამარცხებულმა ნაწილებმა უკან დახევისას მიატოვეს არტილერია, საომარი მასალისა და სხვა სამხედრო ქონების საწყობები. მარტო რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 40 საველე და 2 თვითმავალი ქვემეხი, 56 ნაღმსატყორცნი და 200-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. დღეს ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწევიან უმნიშვნელოვანეს სარკინიგზო მაგისტრალზე მდებარე რკინიგზის სადგურ ვოლოჩისკის მისადგომებზე.

6 მარტის ოპერაციული ცნობა

6 მარტის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი ზბარაჟი, ვიშნევეცი, ლანოვცი, ნოვოე სელო, კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრები ფრიდრიხოვკა, გრიცევი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბაშკოცეი, ზალესცეი, ჟესნიოვკა, ლოკუშენო, ფილი, კოშულინი, ოვიბოვცი, კურილოვკა, ვოლოჩისკი, ლოზოვა, მანაჩინი, ბოლშიე შერებკი, გოროშოვკა, კოლკი, რეშნევკა, ვლაშანოვკა, ნეჩაევკა, მოკეევცი, რაშკოვკა, პისარევკა, ვუბინი, იუზეფოვკა, ოშაროვკა, მშანეცი, მოტოვილოვკა და რკინიგზის სადგური კარნაჩევკა, ზარუდიჩკო, კრასნოსელეცი, ზბარაჟი, ვოლოჩისკი, ვოიბოვცი, ნარაკევიჩი. ჩვენმა ჯარებმა გადახვრეს მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანესი კომუნიკაცია — პროსკუროვ-ტარნოპოლის რკინიგზა.

წინასწარი ცნობებით, ორი დღის, 4 და 5 მარტის, ბრძოლების განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა მოსპეს: 203 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 250 ქვემეხი, 30 ჯავშნიანი მანქანა, 407 ნაღმსატყორცნი, 600-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 2.000-ზე მეტი ავტომანქანა, 20 სხვადასხვა საწყობი.

გერმანელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 15.000-ზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 120 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 202 ქვემეხი, 210 ნაღმსატყორცნი, 260 ტყვიამფრქვევი, 1 ჯავშნიანი მატარებელი, 1.000-ზე მეტი ავტომანქანა, 23 საწყობი საომარ მასალებით და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

ტყვედ წამოყვანილია 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

5 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 89 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითებმა, მძლავრი დარტყმების შედეგად, დაიკავეს ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრები—ქალაქი და გზატეხილების დიდნიშვნელოვანი კვანძი ზბარაჟი, ვიშნევეცი, ლანოვცი, ნოვოე სელო, კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრები ფრიდრიხოვკა და გრიცევი. საბჭოთა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს რკინიგზის სადგური ვოლოჩისკი და ამით გადასჭრეს პროსკუროვ-ტარნოპოლის რკინიგზა. მოწინააღმდეგის ამავე უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციაზე ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგურები ვოიბოვცი და ნარაკევიჩი.

საბჭოთა ჯარები გაბედული შემოვლითი მანევრებით გერმანელებს უჭრიან ტალახით შეზღუდულ უკანდასახევ გზებს. დასახლებულ პუნქტ მოყვეცის რაიონში გარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფი. თეოფიპოლის რაიონში ჩვენი მებრძოლნი გარს შემოერტყნენ გერმანელთა ერთ პოლკ ქვეითის ჯარს და მთლიანად მოსპეს იგი. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. მარტო 5 შენაერთის ნაწილებმა ერთი დღის ბრძოლებში მოსპეს 4 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 44 ქვემეხი, 16 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 130 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. წამოყვანილია ბევრი ტყვე.

* * *

ნარვის მიმართულებით 5 ნაწილის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის თავდაცვის კვანძზე. მსროლელთა და მეავტომატეთა მცირე ჯგუფები, საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ, შეიჭრნენ მტრის სიმაგრეებში და 300-მდე ჰიტლერელი გაულტეს ხელჩართულ შეტაკებაში. საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის კვანძი და ხელთ იგდეს 4 ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, 20 დაზვიანი ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. 5 ნაწილის არტილერისტებმა, რომლებიც ებმარებოდნენ ქვეითი ჯარის შეტევითს მოქმედებას, დაანგრიეს გერმანელთა 20 ძელმაწური საცეცხლე წერტი, დაახიანეს „ვეფხვის“ ტიპის 3 ტანკი და გაფანტეს მოწინააღმდეგის ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს გერმანიის წყალქვეშა ნავი.

ფინეთის ყურეში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 1.500 ტონა წყალწყვისა და საგუშაგო კატერი.

* * *

უკრაინელთა რამდენიმე პარტიზანული რაზმი, რომლებიც ვოლინის ოლქში მოქმედებენ, 23 თებერვალს ბრძოლას აწარმოებდა გერმანელი ოკუპანტების ორ ბატალიონთან. საბჭოთა პატრიოტებმა მძიმე ზარალი მიაყენეს გერმანელებს და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. ამ ბრძოლაში მოკლული და დაჭრილი 400-მდე ჰიტლერელი. სხვა რაიონში ვოლინელი პარტიზანების ჯგუფმა ლანდადგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 3 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმტვრა 3 ორთქლმავალი, 10 ვაგონი და დაწვა 8 ცისტერნა ბენზინიანად.

* * *

წითელი არმიის მზარეზე გადმოსულმა გერმანიის 215-ე ქვეითი დივიზიის უნტერ-ოფიცერმა ფრიდრიხ ვ-მ განაცხადა: „მე ვმსახურობდი დამცველ ბატალიონში, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იდგა. 1941 წლის დეკემბერში ბატალიონს სასწრაფოდ გადმოიყვანეს ლენინგრადის რაიონში. ჩვენ გამოგვიცხადეს: უახლოეს დღეებში გერმანელთა ჯარები ლენინგრადს აიღებენ და თქვენ ამ ქალაქში დაცვითს სამსახურს გასწევთო. 1941-1942 წლების ზამთარში ჩვენი ბატალიონი უსაქმოდ იდგა, შემდეგ კი დაშლილ იქნა. მე 215-ე ქვეითს დივიზიაში მოვხვდი. თითქმის წელიწად-ნახევარს ვაშენებდით სამაგრეებს. ოფიცრები ამ სამაგრეებს ზიგფრიდის ხაზს ადარებდნენ. რუსების მიერ ასეთი თავდაცვის გარღვევამ ჩვენ თავზარი დაგვცა. მიუხედავად დივიზიის მეთაურის ბრძანებისა — შეგვენარჩუნებინა პოზიციები, ვიდრე ერთი კაცი მაინც გვეყოლებოდა, ატყდა საყოველთაო პანიკა. ბევრი ჯარისკაცი გაიქცა. მე ნებაყოფლობით დავნებდი ტყვედ რუსებს და აქ შევხვდი ჩემი ასეულის ოცი ჯარისკაცს“.

* * *

ვინიცის ოლქის დაბა პლისკოვის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მხეცობის შესახებ. აქტში ნათქვამია: „გერმანელმა ოკუპანტებმა ჩვენს რაიონში სისხლიანი რეიმი დაამყარეს. ჰიტლერელები აპატიმრებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, აწამებდნენ მათ, შემდეგ კი ჰკლავდნენ. დახვრეტის წინ სასტიკად აწამეს მასწავლებელი მარიამ ვაშჩენკო. გერმანელებმა აწამეს და დახვრიტეს ანა გონჩარუკი, ვ. ანდრეიჩუკის ოჯახი და ბევრი სხვა. სულ ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმა მტარვალებმა გაუსტეტეს და წვეებით მოჰკლეს 1.500-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. ამ სისხლიან ბოროტმოქმედებებში მთავარ დამნაშავეებად ჩვენ მიგვაჩნია პოლიციის უფროსი — გერმანელი შუსტერი, ვახმისტრი კინკელი, გეხტაპოელები გერმანი და კუშნერი, ოფიცერი ხოფლის მეურნეობის დარგში ბეკერი და მისი თანაშემწე იაშკე“.

აქტს ხელს აწერენ დაბა პლისკოვის მცხოვრებნი: ვ. სმელჩუკი, დ. მელნიკი, ა. სტოლიარი, პარტიზანი ქალი პარნევა, მასწავლებელი ქალი დიაჩენკო და სხვები.

უკრაინის სს რესპუბლიკის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VI სესია

კიევი, 4 მარტი (საკდესი). დღეს უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VI სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა. დილის სხდომაზე სესიამ ერთხმად დაამტკიცა კანონები უკრაინის სს რესპუბლიკის თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და უკრაინის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა კანონი უკრაინის სს რესპუბლიკის სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

სესია ერთხმად, მტუხარე ტაშით, ამტკიცებს უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის დანიშვნის შესახებ.

უკრაინის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად დეპუტატ ა. ე. კორნეიჩუკის დანიშვნის გამო, სესიამ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ და უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად აირჩია დეპუტატი ა. ა. ბოგომოლეცი.

ფინეთი არჩევანის წინ

მომდინარე წლის 1 მარტს ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული იყო დროებითი ზავის პირობები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ აცნობა ფინეთს.

დროებითი ზავის შესაძლებლობის საკითხზე საბჭოთა მთავრობამ პასუხი, როგორც ცნობილი, გადასცა ბ-ნ პასიკივის, რომელსაც ფინეთის მთავრობის მიერ დავალებული ჰქონდა გამოერკვია საბჭოთა მთავრობის პირობები ფინეთის მიერ საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ომიდან ფინეთის გაძოსვლის შესახებ.

დროებითი ზავის საბჭოთა პირობებს უაღრესად დადებითი შეფასება მისცა მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა. უცხოეთის პრესის ფრავალრიცხოვან გამოხმაურებაში, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების მიერ გამოთქმულ აზრში ხაზგასმით იყო აღნიშნული წარდგენილ მოთხოვნათა სამართლიანობა და ზომიერება, დიდსულოვნება, რაც საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა ფინეთის მიმართ, რომელიც ჰიტლერული გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე თვალგამოდებული ხელშეწყობია ამ ომში.

საზღვარგარეთის პრესის გამოხმაურებასა და კომენტარებში განსაკუთრებული ყურადღება ამბის ჰქონდა დათმობილი, რომ ფინეთს არ წარუდგინეს უსტუა კაპიტულაციის მოთხოვნა, როგორც ეს თავის დროზე ჩაიდინეს მოკავშირეებმა იტალიის მიმართ.

საბჭოთა კავშირს კი ყველა საფუძველი მოეპოვებოდა ასეთ მოთხოვნათა წარდგენისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ ფინეთის როლს ჰიტლერის დანაშაულებრივ ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ, კერძოდ მის მონაწილეობას ლენინგრადის ბლოკადაში.

ფრანგული გაზეთი „ფრანსი“ ცალკად მიუთითებს იმაზე, რომ გერმანიის მრავალ მოკავშირეს არ ჩაუდენია ისე ბევრი ბოროტება საბჭოთა რუსეთის მიმართ, როგორც ფინეთმა ჩაიდინა.

საბჭოთა მთავრობის მიერ წარდგენილი დროებითი ზავის პირობების ზომიერმა ხასიათმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ნეიტრალურ ქვეყნებში, ისე ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე ქვეყნებშიც. შვეიცარული გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“ სწერდა, რომ ფინეთთან დროებითი ზავის საბჭოთა პირობებმა თავისი კეთილშობილებითა და თავშეკავებულობით უაღრესად ოპტიმისტურ მოლოდინს გადაუჭარბა.

შვეიდურმა გაზეთმა „სტოკჰოლმს ტიდნინგენმა“ გამოქვეყნა ცნობა დროებითი ზავის საბჭოთა პირობების შესახებ სათაურით, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ არავინ მოითოხოვს უსიტყვო კაპიტულაციასო.

რაც შეეხება ფაშისტური გერმანიის მოკავშირეებზე მოხდენილ შთაბეჭდილებას, ამაზე მშვერმეტყველურად ლაპარაკობს თურქეთის ანატოლიის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობა:

„საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ომიდან ფინეთის გამოსვლისათვის მოსკოვის მიერ წამოყენებული პირობები აღემატება რუმინეთის საზოგადოებრივი აზრის ყოველივე ვარაუდს. რუმინეთის საზოგადოებრივ აზრს სრულიადაც არ ჰქონდა ესოდენ ზომიერი პირობების იმედი ფინეთის მიმართ“.

მით უფრო საოცარია, რომ დროებითი ზავის საბჭოთა დიდსულოვნურ პირობებს მტრულად შეხვდა ფინური პრესა. ფინური გაზეთების უმეტესობა მკვეთრად ოარეყოფს საბჭოთა პირობებს, უწოდებს რა მათ. წინააღმდეგ საღი აზრისა, არა მარტო მძიმე პირობებს, არამედ პირდაპირ სასტიკს.

მაგრამ ფინური გაზეთების კომენტარები, რომლებიც მოწოდებულია დაამტკიცოს საბჭოთა პირობების მიუღებლობა, აკვირვებს ადამიანს თავისი უსუსურობით. თუ არ საბჭოთა პირობების ფაქტიური შინაარსის შეგნებული დამახინჯებით.

განვიხილოთ ფინური პრესის არგუმენტები: პირველი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა პირობები ვითომდა წარმოადგენენ უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნას.

მაგალითად, გაზეთი „ხუვუდსტადსლადეტი“ სიტყვა-სიტყვით იმეორებს ჰიტლერული პრესის ნათქვამს და სწერს, რომ საბჭოთა მოთხოვნები იგივე უსიტყვო კაპიტულაციაა, თუმცა მასალების მიწოდების შეწყვეტა შეიარაღებულ ძალებისა და ინვენტარის ჩაბარებაზე საქმეში ჩახედული არ არიან. ანდა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გულმავიწყნი არიან.

უსიტყვო კაპიტულაცია, როგორც ამას იტალიის ამბავნარკვევი მაგალითია მოწმობს, ნიშნავს წაგებულ ომში ბარბაროსების, ბარბაროსების, ზეციერის უცილობელ, გადაუდებელ დამარცხებულ ომის, ვის, სავარაუდო [illegible] ბის მიცემას. არმიის განიარაღებას.

საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ იტალიასთან დროებითი ზავის პირობების თუნდაც ერთი პუნქტი. მაგალითად, მე-4 პუნქტში ნათქვამია: „იტალიის ფლოტისა და იტალიის ავიაციის დაუყოვნებლივი გადაყვანა ისეთ პუნქტებში, რომლებიც ნაჩვენები იქნება მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის მიერ, რომელიც დაიზუსტებს განიარაღების დაწვრილებითს პირობებს“.

დასასრულ, უსიტყვო კაპიტულაცია ითვალისწინებს წარდგენილი დროებითი ზავის პირობების მიღებას ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე.

საბჭოთა წინადადება კი შეიცავს პირობებს, რომელიც ითვალისწინებს შემდგომს მოლაპარაკებას დროებითი ზავის განხორციელებისთან დაკავშირებულ ზოგ რიგ საკითხებზე.

ფინეთისათვის არჩევანის მინიჭება—ან თვითონ მოახდინოს ფინეთში მყოფი გერმანელთა ჯარების ინტერნირება, ან წითელი არმიის დახმარებით—აგრეთვე საეჭვოა ეჭვწყლებს არგუმენტს, თითქოს საბჭოთა პირობები წარმოადგენდეს უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნას, ვინაიდან უსიტყვო კაპიტულაცია არჩევანს არ იძლევა.

ფინური პრესის მიერ წამოყენებული მეორე არგუმენტი, რომელიც აშკარად გერმანული ფაშისტური გაზეთებიდან არის ამოღებული, იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს სურს მოსკოვში შეიტყუოს ფინეთის დელეგაცია.

ფინური პრესა კვლავ მკვეთრად ეწინააღმდეგება ფაქტებს. ცნობილია, რომ ფინელები ბ-ნ პასიკივის მეშვეობით თვითონ იძლეოდნენ წინადადებას მიგვეღო მათი დელეგაცია მოსკოვში მოსალაპარაკ

ვიბრძვით უხვი სამხედრო მოსავლისათვის

სამამულო ომის დღეებში თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეები თავდადებულად შრომობენ საკოლმეურნო მინდვრებში, ეცხოველეობის ფერმებში და აძლიერებენ ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისადმი დახმარებას.

რაიონში 1944 წლისათვის სათესი ფართობი 4.000-ზე მეტი ჰექტარით გადიდდა. 1943 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა 1942 წელთან შედარებით გადიდდა 15 პროცენტით, სიმინდისა—60 პროცენტით, კარტოფილისა—70 პროცენტით. სოფელ კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლიანობა 9.8 ცენტნერიდან 15 ცენტნერამდე აიდა. ასეთი მაგალითი ბევრია.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ომის პირობებში, არის მეცხოველეობა. მეცხოველეობის განვითარების გეგმა 1943 წელს მხვილფეხა რქიანი საქონლის დარგში შესრულებულია 100 პროცენტით, ცხვრისა და თხის დარგში—104.8 პროცენტით, მეღორეობის დარგში—101.5 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების 1943 წლის გეგმა გადაჭარბებით იყო შესრულებული უკვე 1-ლი დეკემბრისათვის, ხოლო 1944 წლის ანგარიშში ჩაბარებულია 1.000 ცენტნერზე მეტი ხორცი, 24.300 ლიტრი რძე და სხვ.

საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში ფართოდება საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეთა რიგები. კოლმეურნეობა „ახალ გზაში" მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. აბიათარმა, რომელიც 65 წლის არის და ორი შვილი ფრონტზე ჰყავს, გამოიუშავა 479 შრომადღე, მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა ლეონოვმა — 630 შრომადღე, 12 წლის ს. აკოფოვმა—230 შრომადღე. ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება დავასახელოთ.

საკოლმეურნეო წარმოების საერთო ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ მატულობს კოლმეურნეთა შემოსავალიც. სოფელ ქსოვრეთის, ზარიბითის, ბრიოტისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში შრომადღეზე, სხვა პროდუქტებს გარდა, გაცემულია ხუთ-ხუთი კილოგრამი მარცვლეული.

ხუხი მოსავლის მოსავლის ბრძოლაში კომუნისტები პირად მაგალითს გვიჩვენებენ. ს. ვორბილოს კროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა პარტიის წევრმა ამხ. ვარსამაშვილმა გამოიმუშავა 412 შრომადღე, ვაშლოვნელმა კოლმეურნემ კომუნისტმა მენთეშაშვილმა 452 შრომადღე და სხვ.

ფართოდ არის გაშლილი საგაზაფხულო ბუშამბა. რაიონში სულ 343 ავტატორი მუშამბს. ისინი კოლმეურნეებს განუმარტავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებებსა და ბრძანებებს. 1943 წელს ჩატარებულია 16 ათასზე მეტი სუბბარი, რომლებსაც 180 ათას კილოზე მეტი დაესწრო.

ფაშისტი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის საყოველთაო-სახალხო დახმარებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეებმაც. 1943 წელს გერმანელ დამპყრობთაგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად ნეგვის გადამეტებით დაითესა 119 ჰექტარი, გამოყოფილ იქნა 329 ცხვარი, 47 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

ჩვენი რაიონის მშრომელები დიდ ზრუნვას იჩენენ ფრონტელებისადმი. მათ გაგზავნეს 5 ვაგონი სხვადასხვა პროდუქტი და ბევრი თბილი ნივთი. 1943 წელს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ერთდროულად დახმარების სახით დაურიგდათ 16.924 კილოგრამი მარცვლეული, 74 ტონა კარტოფილი, 5 ათასი კუბური მეტრი შეშა.

კოლმეურნეობები აქტიურად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. მათ უკვე გადასდეს 7.920 ცენტნერი თესლი და 34.000 ცენტნერი კარტოფილი. მტს-ებმა შეასრულეს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის გეგმა. შეშა საქონელი კარგ მდგომარეობაშია. კოლმეურნეებმა 45.000 ტონა ნაკელი გაიტანეს მინდვრად. რაიონის დაბლობ ზონაში საადრეო საგაზაფხულო ხვნა ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო. 1 მარტისათვის რაიონში მოხნულია 3.566 ჰექტარი და დათესილია 843.

წითელი არმიის 26-ე წლისთავის შესახებ ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანებით აღფრთოვანებულნი, თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეები ბოლშევიკური შეუპოვრობით მუშაობენ, რათა 1944 წელს უხვი სამხედრო მოსავალი მიიღონ.

ვ. ბოლნგაძე

ხაქ. კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეები ჩაისა და ციტრუსების კულტურების განვითარებასთან ერთად სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ერთწლიანი კულტურების განვითარებას. რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული თესვისათვის მზადება. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან სიმინდის სათესლე მასალით. ზოგიერთ კოლმეურნეობას აკლია ბოსტნეული კულტურების თესლი. ბოსტნეულის თესლი უმთავრესად შემოზიდულ უნდა იქნას ქუთაისისა და სამტრედიის რაიონებიდან. ჩოხატაურის რაიმიწგანმა ამ მხრივ მეტი დახმარება უნდა გაუწიოს კოლმეურნეობებს.

თესვისათვის მზადებაში დიდი როლი ეკისრება ცოცხალი გამწევი ძალის დროულად მომზადებას. სოფ. ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პლატონ და თედორე დოლიძეები კარგად უვლიან მუშა-საქონელს. ასევე მზრუნველობით უვლიან მუშა-ხარებს შალვა გოგოლაძე სოფ. შუა-განახლების ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან, ამხ. კოტრიკაძე — გორაბერეულოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, ირ. თოხაძე — სოფ. ვინის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობიდან. მაგრამ ზოგან უდარდელობას იჩენენ მუშა-საქონლის მოვლისადმი. მაგალითად, სოფ. გოგოლისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ფ. ყაჭიეშვილი), კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში" (თავმჯდომარე შ. გიორგაძე) მუშა-საქონელი დასუსტებულია. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან მუშა-საქონელი ჯადაიყვანონ გაძლიერებულ კვებაზე.

ზოწინავე კოლმეურნეობები ენერგიულ ზომებს იღებენ, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დაამზადონ ადგილობრივი სასუქი. მათ სასუქი გააქვთ მინდვრებზე. მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივას ამ მხრივ რაიონის ყველა კოლმეურნეობამ უნდა მიბაძოს. ერთფლიანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების ინტერესები მოითხოვენ, რომ ყველა კოლმეურნეობამ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოიმარაგოს სასუქი. რაიონის კოლმეურნეობებს საქსოფლმომარაგების საქტრედიის განყოფილებიდან წელს უნდა შემოეზიდათ 166 ტონა მინერალური სასუქი, მაგრამ მინერალური სასუქი მთლიანად არ არის შემოზიდული. სოფ. ქვენობანის (თავმჯდომარე ე. გოგიბერიძე), ბასილეთის (თავმჯდომარე გ. კუტუბიძე), ბუჯარის (თავმჯდომარე შ. დვიძე), გოგოლისუბნის (თავმჯდომარე ფ. ყაჭიეშვილი), ქვემო ერკეთის (თავმჯდომარე გრ. გიორგაძე) კოლმეურნეობებს ეს დავალება არ შეუსრულებიათ.

ჩოხატაურის რაიონს მომსახურებას უწევენ მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების მტს-ები, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ ეს მტს-ები ჩოხატაურის რაიონში ხვნას იწყებენ მას შემდეგ, როდესაც ისინი თავიანთ სამუშაოს შეასრულებენ. ამიტომ საქმისათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ მახარაძისა და ლანჩხუთის მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები გამოჰყოფენ მუდმივ სატრაქტორო ბრიგადას, რომელიც მომსახურებას გაუწევს ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებს.

სერიოზული ყურადღება ექცევა რაიონში საკოლმეურნეო მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. წელს სპეციალურ კურსებზე გადამზადდა 30 კოლმეურნეობის თავმჯდომარე. რაიონი განიცდის აგრონომიერ-სონალის სიმცირეს. მაგალითად, რაიმიწგანს ისეჩიროება ორი აგრონომი შრომის ორგანიზატორი, ზოოტექნიკოსები. საჭიროა საქმიწსახკომის კადრების განყოფილება დაეხმაროს ჩოხატაურის რაიმიწგანს ამ საკითხის მოგვარებაში.

გალ. მინდაძე

ეხმაურებიან სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიმართვას საბჭოთა კავშირის ყველა ფაბრიკა-ქარხნის კოლექტივებისადმი. როგორც ცნობილია, მიმართვა ეხება 1944 წელს მტს-ებსა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებზე შეფობის მოწყობას და საკოლმეურნეო მინდვრებზე თესვისა და მოსავლის აღების ჩატარებაში მათთვის დახმარების გაწევას.

სტალინელებმა იკისრეს 12 მარტამდე დაამზადონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების 2.500 ცალი სხვადასხვა ნაწილები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა ქარხნის შეკინაური საამქროს კოლექტივი, რომელსაც ამხ. შ. თევზაძე ხელმძღვანელობს. ამ საამქროს სტახანოველი ამხ. მ. ვაშაძე სამუშაოდან თავისუფალ დროს მუშაობს ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს აგრეთვე საიარაღო საამქროს მუშათა კოლექტივი (უფროსი ამხ. მ. ბოჭორიშვილი).

ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიმართვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა კოლექტივში (დირექტორი ამხ. პ. ბიჩენკო, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ს. სუფიასოვი). ქარხნის საამსხმელო საამქროს კოლექტივმა (უფროსი ამხ. ო. ეტმეკჩიანი) ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შესასრულოს 10 მარტისათვის.

კალინინელებმა სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მიმართვის პასუხად იკისრეს საგაზაფხულო თესვის პერიოდში შეფობა გაუწიონ თბილისის რაიონის მტს-ს.

შ. ბოლშუა

მახარაძელი მეაბრეშუმეების წარმატება

მახარაძე, (საქდესი). მახარაძის აბრეშუმსაძახავი ფაბრიკის (დირექტორი ამხ. შ. ვასაძე) კოლექტივმა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას ახალი შრომითი ალმაცლობით უპასუხა.

აბრეშუმის დახვევის თებერვლის დავალება ფაბრიკამ 101 პროცენტით შეასრულა, აბრეშუმის ძახვის თებერვლის დავალება — 116 პროცენტით.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ფაბრიკის წარჩინებულმა სტახანოველმა ციალა ღლონტმა, რომელიც დაჯილდოებულია ენინის ორდენით. მუშაობს რა სამ დაზგაზე, მან იანვრის საწარმოო დავალება 506 პროცენტით შეასრულა, თებერვლისა — 439 პროცენტით. ამასთან დაზოგა ათობით კილოგრამი ნედლეული და გამოუშვა ჯალი ბარისხის ძაფი.

სიკვდილის ბანაკი სლავუტაში

ნოვოგედი არმია, 26 თებერვალი (საკდესის სპეც. კორ.). ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე ქალაქ სლავუტაში გერმანელებმა შეაჭრეს უზარმაზარი ბანაკი სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი სიბრალულელებისათვის. როდესაც წითელი არმიის ნაწილები ქალაქში შევიდნენ, ბანაკში დაახლოებით 800 დაჭრილი და ავადმყოფი აღმოჩნდა. გერმანელები თავზარდაცემულნი გაიქცნენ სლავუტიდან და ვერ მოასწრეს მათი გაყვანა.

მებრძოლებს საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ. დანგრეულ და ცივ ბარაკებში იატაკზე ტალახში ეყარნენ ადამიანები. ისინი ცოცხალ ჩონჩხებს ჰგავდნენ, იმდენად უაღრესად გამოფიტულნი იყვნენ, რომ დამოუკიდებლად მოძრაობა აღარ შეეძლოთ. ბევრ მათგანს კიდევ ემჩნეოდა გერმანელთა მიერ მოყენებული დაზვავის კვალი. იქვე ცოცხალთა შორის ეწყო ჭრილობისა, შიმშილისა და ავადმყოფობისაგან გარდაცვლილთა გვამები. გაბარწყინ გვამთა სუნი ჰაერს სწამლავდა.

— გერმანელებმა ბანაკი გადაქცევეს საბჭოთა ადამიანების მასობრივი ყლეტის ადგილად, — გვიამბობს სამხედრო ტყვე ზიაგინი, — ჩვენ დამპალი კარტოფილითა და ლუშით გვკვებავდნენ, მაგრამ ამ საკმელსაც იშვიათად იძლეოდნენ. ხშირად დაჭრილები ხუთ-ექვსი დღეღამის განმავლობაშიც კი ვერ იღებდნენ საჭმელს. შიმშილს იქამდე მივყავდით, რომ ზოგი დაპატიმრებული მკვდარ ვირთაგვებს სჭამდა.

არავითარი მოვლა დაჭრილებსა და ავადმყოფებს ბანაკში არა ჰქონდათ. დიზენტერიით, მუცლისა და პარტახტიანი ტიფით ავადმყოფებს გერმანელები ჯანმრთელებთან ერთად ათავსებდნენ. ბანაკში ანტისანიტარული პირობების განზრახ შექმნის შედეგად სიკვდილიანობა საშინელ ოდენობას აღწევდა. ზოგჯერ აქ დღეში 200-მდე კაცი კვდებოდა.

დახვრეტა ბანაკში გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხდებოდა. გერმანელთა საყვარელ გასართობს წარმოადგენდა თავიანთ მსხვერპლზე სპეციალურად ნაგები ძაღლების მისესიანება.

ამას ისინი ჩვეულებრივ კორპუსების ჩამოვლის დროს შვრებოდნენ. ძაღლები მიცვივდებოდნენ მათ, ვინც ვერ მოასწრებდა თავის ბინაში დამალვას, და ნაფლეთებად აქცევდნენ ადამიანებს. გერმანელები დამშეულ ხალხში ისროდნენ ჭარხალსა და დამპალ კარტოფილს. როდესაც შიმშილით სიკვდილის პირას მისული ადამიანები საჭმელს მიესეოდნენ, მტარვალები მათ ხვრეტდნენ.

ამქამად ძნელია სლავუტის სიკვდილის ბანაკში დაღუპულ საბჭოთა ადამიანების ზუსტი ციფრის დასახელება. მაგრამ შეიძლება შეუშცდარად ვთქვათ, რომ გერმანელებმა აქ მრავალი ათი ათასობით კაცი დაღუპეს. მარტო ერთ სასაფლაოზე, სადაც ჰიტლერელებს თავიანთი მსხვერპლების გვამები მიეჭედათ, აღმოჩენილია გვამებით სავსე 640 უზარმაზარი ორმო. გათხრებმა გვიჩვენეს, რომ ზოგიერთ ასეთ ორმოში 200-მდე გვამია.

დიპეშები

უცხოეთის პრესა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 4 მარტი (საკდესი). გაზეთი „ფრანსი" მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოვის მიერ დროებითი ხვეის პირობების გამოქვეყნებას შეუძლია გაუადვილოს ფინეთის ხელმძღვანელებს მოსკოვს გამგზავრება, თუ კი ისინი გულწრფელად არიან განწყობილნი.

გაზეთს შესაძლოდ მიაჩნია, რომ ფინეთის ხელმძღვანელებს შეუძლიათ მიიღონ ფინელი ხალხის ინტერესთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, და დაასკვნის: „დამოუკიდებლად იმისა, ომის მდგომარეობაში დასტოვებენ ფინეთის ხელმძღვანელები ფინეთს თუ გამოიყვანენ მას ომიდან, შეთანხმებულია, რომელიც მოსკოვის პირობებმა მსოფლიოზე მოახდინა, ვასალებში დარჩება. ამ შეთანხმებამ უნდა გააძლიეროს მიმდინარეობა ზავის სასარგებლოდ.

ნიუ-იორკი, 3 მარტი (საკდესი). გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი ნოვერი აცხადებს, რომ ფინეთისათვის წარდგენილი საბჭოთა პირობები გერმანიის ჯარების ინტერნირების შესახებ გონივრულია, ხოლო ტერიტორიული პირობები „იმაზე უკეთესია, რაც მოსალოდნელი იყო".

საერთოდ ყველა გაზეთი, რომელმაც კი დღემდე აზრი გამოსთქვა ამ თემაზე, „დეილი ნიუსს" გარდა, იწონებს საბჭოთა პირობებს.

ოტავა, 4 მარტი (საკდესი). კანადის გაზეთები იწონებენ ფინეთთან დროებითი ზავის საბჭოთა პირობებს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ფინეთი საბრძოლველ შეტდმას ჩაიდგამს, თუ იგი ამ პირობებზე არ დთანხმდა.

სტოკჰოლმი, 3 მარტი (საკდესი). დღემდე არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ფინური გაზეთის ტიპოგრაფიაში ერთ გაზეთს არ გამოუთქვამს, აზრი დროებითი ზავის საბჭოთა პირობების მიღების, სასარგებლოდ. ფინეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ფინეთის მთავრობას, არა სურს რა გასწყვეტოს „პაასიკივის მიერ გაბმული დიპლომატიური ძაფი", სურს ივაჭროს იმ ვარაუდით, რომ განაგრძოს თავისი „ლონდონის პოლიტიკა". გარდა ამისა, იუწყებიან, რომ ფინეთის მთავრობას მაინც იმედი აქვს მიიღოს ბერლინის მიერ თუნდაც მდუმარებით გამოთქმული თანხმობა ომიდან გამოსვლაზე. ამიტომ პუნქტი დიტლის ჯარების ინტერნირების შესახებ, სხვა პუნქტებთან ერთად, სრულიად მიუღებლად მიაჩნიათ.

სტოკჰოლმი, 3 მარტი (საკდესი). „გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის" ჰელსინკელი კორესპონდენტი სწერს: „სავეფოა, რომ რუსეთის პირობები ხელს უწყობდნენ შეთანხმების მოწერეას. ეს დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ფინური პრესის კომენტარიების საფუძველზე, აგრეთვე იმ დისკუსიის საფუძველზე, რომელიც ჰელსინკის პოლიტიკურ წრეებში გაიმართა".

გაზეთმა „მორგენ ტიდნინგენმა" მოათავსა ლინდსტრემის სტატია. ავტორი აღნიშავს, რომ, „თუ მრავალი ფინური გაზეთის მიერ გამოთქმული აზრის მიხედვით ეიმჯელებთ, ფინეთის საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ნათლად ინფორმირებული. ფინეთს ახლა გარკვეული შანსები აქვს, მაგრამ ეს შანსები მუდმივი არ იქნება. ფინელებმა რაც შეიძლება მალე უნდა გამოიყენონ ისინი. ფინეთს ახლა შესაძლებლობა აქვს ეამოვიდეს თავისი მძიმე მდგომარეობიდან. ჩვენ ძლიერ გაგვაკვირვებდა, თუ ფინელები არ გამოიყენებდნენ ამ შესაძლებლობას".

გაზეთი „დაგენს ნიჰეტერი" სწერს, რომ ფინური გაზეთების კომენტარიებმა რუსების პირობებთან დაკავშირებით მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება შეჰქმნა. „თუ ფინეთს სურს თავიდან მოიშოროს გერმანიის ჯარები,—აღნიშნავს გაზეთი, — ნუთუ ეზოდ იმისათვის უნდა ჩაადოს საფრთხეში მშვიდობიანობის საქმე და დაიტუჯოს, რომ თვითონ გერმანელებს არა სურთ დასტოვონ ფინეთი".

ინგლისური პრესა ლონდონს სტეტინიუსის მომავალი გამგზავრების შესახებ

ლონდონი, 3 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისური გაზეთები ათავსებენ თავიანთი ვაშინგტონელი კორესპონდენტების ცნობებს იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, განხილულ იქნან ინგლისს, ხელისუფლებასთან ლონდონში სტეტინიუსის მომავალი ყოფნის დროს.

„ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტის ცნობით, „ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ განხილვის მთავარი საგანი იქნება საკითხი დროებითი ზავის პირობებისა, გერმანიისათვის. სხვა საკითხებს, რომლებსაც კორესპონდენტი იხსენიებს როგორც შესაძლო საკითხებს, წარმოადგენენ ევროპის ომისშემდგომი შეთანხმებანი, მათ შორის შეთანხმებანი, რომლებიც ეხება პოლონეთსა და ფინეთს, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის სტატუტი, ახლო აღმოსავლეთის ნავთის რესურსები, ავიაციისა და ნაოსნობის საკითხები, ბაზების გამოყენება სესხად ან ოჯარით გადაცემის პრინციპის საფუძველზე".

გაზეთ „დეილი ჰერალდის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს: „ოფიციალურად დღის წესრიგი ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ ფიქრობენ, რომ წამოყენებულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) დროებითი ზავის პირობები გერმანიისათვის. ამერიკა მტკიცედ ადგია უსიტყვო კაპიტულაციის პრინციპს, როგორც წინასწარ პირობას. 2) რუსეთ-პოლონეთის საზღვარი. ვაშინგტონს სურს, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილ იქნას. 3) საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი. როგორც ეტყობა, ამერიკის თვალსაზრისი იმით გამოიხატება, რომ კომიტეტს გადაეცეს სამოქალაქო საქმეები, როდესაც ოკუპაცია მოხდება. მაგრამ რომ კომიტეტი აღიარებულ არ იქნას საფრანგეთის მთავრობად. 4) ახლო აღმოსავლეთის ნავთის რესურსები. 5) იტალიის მთავრობა. საჭიროა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება — ზოგადურებულ იქნას იტალიის მდგომარეობა, როცა მოკავშირეები რომს დაიკავებენ. 6) ომისშემდგომი ტრანსპორტი. ამერიკის პრეტენზიები საჰაერო ბაზებზე, იტყობა, გაიზრდება. ამავე საკითხს ეკუთვნის ინგლისისათვის ოჯარით გემების გადაცემა. 7) ბატონობა წყნარ ოკეანეში. ამერიკელები ისწრაფვიან ახალი ბაზები მიიღონ წყნარ ოკეანეში და კონტროლი გაუწიონ მათ მიერ დაკავებულ კუნძულებს. 8) პალესტინის მომავალი იბრაელი მოსახლეობის ახალშენი ადგილი მოთხოვნების სპეციალურად გათვალისწინებით.

სტეტინიუსის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 4 მარტი (საკდესი). კორესპონდენტების შეკითხვის პასუხად სტეტინიუსმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი არ აპირებს მოსკოვში ჩასვლას ლონდონს თავის გამგზავრებასთან დაკავშირებით. კითხვაზე — ეყოლებათ თუ არა საბჭოთა კავშირი ინგლის-ამერიკის ლონდონის მოლაპარაკების კურსშიო, სტეტინიუსმა უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობას სრული გულწრფელობით ვეკადებით და რომ, თუ აღძრულ იქნა ისეთი საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირს ეხება ან რომლებთთაც იგი დაინტერესებულია, საბჭოთა კავშირის მთავრობა საპირო ახსნა-განმარტებას მიიღებსო. სტეტინიუსის სიტყვით, ლონდონს მომავალ მოლაპარაკებას მეტად ფართო ხასიათი ექნება, კითხვაზე, ექნება თუ არა მას თათბირი მხოლოდ ინგლისის წარმომადგენლებთან, სტეტინიუსმა უპასუხა, რომ მისი მგზავრობის მიზანი ოფიციალური დარბაზობა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგრამ მას არა სურს შეზღუდოს თავისი მგზავრობა და, შესაძლოა, მოაწყოს კონსულტირება სხვა წრეებთან.

რუზველტის განცხადება იტალიის ფლოტის შესახებ

ლონდონი, 3 მარტი (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, რუზველტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სწარმოებს მოლაპარაკება რუსეთისათვის იტალიის ფლოტის ნაწილის გადაცემის შესახებ. რუზველტმა სთქვა, რომ ამ საკითხის განხილვა დამთავრებულია მხოლოდ სანახევროდ, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე თეირანის კონფერენციამდე მიღწეულ იქნა პრინციპული გადაწყვეტილება ამ საკითხზე, ვინაიდან იტალიამ ფაქტიურად კაპიტულაცია მოახდინა დიდი ბრიტანეთისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის წინაშე.

ვაშინგტონი, 3 მარტი (საკდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს რუზველტმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისათვის იტალიის იმ ფლოტის დაახლოებით შესამედი ნაწილის გადაცემის შესახებ, რომელიც დაგვნებდა, სანახევროდ უკვე დამთავრებულია.

საყოველთაო გაფიცვა ჩრდილოეთ იტალიაში

ნიუ-იორკი, 5 მარტი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, გაფიცვა ჩრდილოეთ იტალიაში რკინიგზებს მოედო. მილანში, ტურინში და ფლორენციის პროვინციაში მოელვარება მოხდა. მილანში გერმანელებმა სროლა აუტეხეს დემონსტრაციის მონაწილე მუშებს, რომლებიც ცდილობდნენ პოლიციის საგუშაგოებზე გაეგლოთ. მოკლულ იქნა 20 მუშა. ქალაქში კვლავ საგანგებო წესები შემოიღეს.

ჩრდილოეთ იტალიის ბევრ ქალაქში აკრძალულია ქუჩებში გამოსვლა საღამოს 5 საათის შემდეგ.

სამი გერმანელი გენერლის დახვრეტა

სტოკჰოლმი, 3 მარტი (საკდესი). გაზეთი „მორგონტიდნინგენი" ბერლინდან იუწყება: „ჰიტლერის ბრძანებით სიკვდილით დასჯეს ავიაციის სამი გერმანელი გენერალი: გენერალ-მაიორი რიფიგერ ფონ ჰალინი, გენერალ-მაიორი ფელკი და გენერალ-ლეიტენანტი ფუქსი. მიზეზად ასახელებენ მტრის წინაშე ლაჩრობას. ნეველთან ოპერაციების დროს გენერლებს დავალებული ჰქონდათ ზედველობაში არ მიეღოთ ზარალი და ბრძოლაში გამოეყენათ თავიანთი ჯარები, თუმცა წარმატების იმედი არ იყო. ამბობენ, რომ გენერლები მერყეობდნენ, რისთვისაც ისინი სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს".

პიუშეს გასამართლება

ლონდონი, 5 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ 4 მარტს ალჟირში დაიწყო ვიშის „მთავრობის" ყოფილ შინაგან საქმეთა „მინისტრ" პიერ პიუშეს გასამართლება.

პიუშეს უკვე წინათ მოესაჯა სიკვდილი საფრანგეთის წინააღმდეგობის საბჭომ იმისათვის, რომ ეს მოღალატე ფრანგ პატრიოტებს გესტაპოს ხელში გადასცემდა ხოლმე.

გერმანიის საგენეროს წარმომადგენელმა თურქეთში უარი სთქვა გერმანიაში დაბრუნებაზე

ლონდონი, 3 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გერმანიის საინფორმაციო სააგენტოს თურქეთის განყოფილების ხელმძღვანელმა პაულიუსმა უარი სთქვა გერმანიაში დაბრუნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას წინადადება მიეცა დაბრუნებულიყო. პაულიუსს მას შემდეგ, რაც მან თავისი მოვალეობანი მოიხსნა. პაულიუსს განზრახვა აქვს დარჩეს სტამბოლში როგორც პოლიტიკური ემიგრანტი.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 5 მარტი (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ საადმირალოს კუნძულებზე (ბისმარკის არქიპელაგის ჩრდილოეთით) იაპონის ჯარებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, ცდილობდნენ რა გატეხვოდენ ბინათ თავიანთი მდგომარეობა და დაებრუნებინათ მოშტეს აეროდრომი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. იაპონელთა ჯარებმა დაჰკარგეს 3.000 კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მოკავშირეთა ჯარებმა დაჰკარგეს 61 კაცი მოკლულისა და 244 — დაჭრილის სახით.

ამერიკის მიერ ნავთის მინოდება ესპანეთისათვის

ვაშინგტონი, 4 მარტი (საკდესი). უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვებს ფილადელფიის გაზეთ „რეკორდის" ინ ცნობის გამო, რომ მზადდება ნავთისა და საპოხი ზეთის გაგზავნა ესპანეთშია, ა. შ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ეს გაგზავნა ნებადართული იყო ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ნავთის ექსპორტი ესპანეთში ამ ცოტა ხნის წინათ იქნებოდა შეწყვეტილი.

საბოლოო-სამეურნეო სამუშაოებში გამარჯვებული სკოლების დაჯილდოება

საკ. აღკვ ცენტრალურმა კომიტეტმა, რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარიატმა, სსრ კავშირის მიწათმოქმედებისა და სამეურნეობების სახალხო კომისარიატებმა განიხილეს 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სკოლების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დაჯილდოვეს სსრ კავშირის მთელი რიგი ... სკოლები, მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებმაც გასული წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს. დაჯილდოებულთა შორის არიან: საქართველოს სსრ რესპუბლიკის 3 სკოლა, 31 მასწავლებელი, 161 მოსწავლე და ...

[illegible]

საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოწინავე ქარხნები

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა ეიურომ, შეაჯამა რა სოციალისტურ შეჯიბრების 1944 წლის თებერვლის შედეგები, აღნიშნა, რომ თებერვალში შესამჩნევად გადიდდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვალდებულებანი შეასრულეს თებერვლის საწარმოო დავალებები.

[illegible]

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოწინავე საწარმოები

[illegible]

საქ. სსრ შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალში

[illegible]

ლექციები და მოხსენებები

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

[illegible]

კინოებში

[illegible]

საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის საქმართველო

ყოველ მზრუნველ მოქალაქეს შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი და ოჯახი სახლდაზღვევაში სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადებით.

სიცოცხლის შერეულ დაზღვევაში სახლდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას:

ა) თვითონ დამზღვევზე — მის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასაკის მიღწევისას და უბედური შემთხვევის შედეგად ინვალიდობის შემთხვევაში.

ბ) ოჯახის წევრებსა და მახლობლებზე — დაზღვეულის დაწესებულ ვადაზე ადრე სიკვდილის შემთხვევაში.

დაზღვევის დასადებად მიმართეთ სახლდაზღვ